ბრძანება:**ბ14. 142421410**
თარიღი:**01/08/2024**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში სტაჟირების მსურველი პირების

შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ

„საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 მაისის №177 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 31 ივლისის №245 დადგენილების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში სტაჟირების მსურველი პირების შერჩევის მიზნით გამოცხადდეს კონკურსი შემდეგ სტრუქტურულ ერთეულებში:

№	**სტრუქტურული ერთეული**	**რაოდენობა**
1	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია	10
2	ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სამსახური	3
3	ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური	3
4	ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონებისა და სერვისების მართვის სამსახური	4
5	ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახური	3
6	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახური	2
7	ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	2
8	ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური	5
	სულ სტაჟიორთა ოდენობა	32

2. სტაჟიორთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქცია-მოვალეობები განისაზღვროს შესაბამისი კომისიის მიერ, სამსახურების დებულებების გათვალისწინებით.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

არჩილ ჩიქოვანი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი